

საქართველოს ჩემპიონატი Sprint Racing-ში - 2018 წელი
(შეჯიბრების რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2018 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრების სტრუქტურა, ჯგუფები და კლასიფიკაციები
5. სარბოლო მონაკვეთი (ტრასები)
6. შეჯიბრების უსაფრთხოება
7. ოფიციალური პირები
8. მონაწილეობის პირობები, მოთხოვნები მონაწილეებისა და მრბოლელების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები
10. შეჯიბრების წესები
11. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამა
12. შედეგების განსაზღვრა და დაჯილდოება
13. პროტესტი, აპელაცია
14. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია

მუხლი 1. შესავალი

- 1.1. ნამდვილი რეგლამენტი (შემდგომში სსსფ-ს რეგლამენტი) შედგენილია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ და განსაზღვრავს 2018 წლის ოფიციალური შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს Sprint Racing-ში.
- 1.2. შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:
 - სსსფ-ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
 - შეჯიბრების წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ-ს საერთო დებულებები);
 - Sprint Racing-ის ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
 - სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია (ტექნიკური რეგლამენტი);
 - მოქმედი რეგლამენტი (სსსფ-ს რეგლამენტი) და მისი დანართი;
 - ღონისძიების რეგლამენტი (შეჯიბრის დებულება).
 - FIA-ს დანართი J და FIA-ს რეგულაციები.
- 1.3. შეჯიბრებები Sprint Racing-ში, ტარდება სსსფ-ს არასატრეკო რბოლის სახეობათა კომისიის გადაწყვეტილებების და სსსფ-ს მიერ 2018 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის თანახმად.
- 1.4. მოცემული სსსფ-ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან.

მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრების ამოცანები და მიზნები

- 2.1. ოფიციალური შეჯიბრება Sprint Racing-ში, ტარდება საუკეთესო მრბოლელების გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრების ჩატარების უფლება

- 3.1. Sprint Racing-ში, 2018 წლის საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება ეძლევა შ.პ.ს. „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“-ს.
- 3.2. კალენდარი - ღონისძიება ტარდება სსსფ-ს მიერ გამოცხადებული 2018 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის განსაზღვრულ პერიოდში.

სტატუსი	ეტაპი	თარიღი
საქართველოს ჩემპიონატი Sprint Racing-ში	1 ეტაპი	17 ივნისი
საქართველოს ჩემპიონატი Sprint Racing-ში	2 ეტაპი	23 სექტემბერი
საქართველოს ჩემპიონატი Sprint Racing-ში	3 ეტაპი	25 ნოემბერი

- 3.3. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - www.gasf.co დანაყოფში „კალენდარი“.
- 3.4. სსსფ-ს სტრუქტურაში Sprint Racing-ში შეჯიბრების ჩატარებისას ორგანიზების პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს არასატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.
- 3.5. სსსფ-ს სტრუქტურაში Sprint Racing-ში საქართველოს ჩემპიონატის შეჯიბრების ტექნიკურ რეგულაციებზე პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს ტექნიკურ კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, შეჯიბრების ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

მუხლი 4. შეჯიბრების სტრუქტურა, ჯგუფები და კლასიფიკაციები

4.1. შეჯიბრების სტრუქტურა:
 მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სარბოლო ავტომობილს რომელიც აკმაყოფილებს FIA-ს დანართი J-ის და სსსფ-ის ტექნიკურ მოთხოვნებს. ყველა მონაწილემ, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრებაში უნდა წარმოადგინონ სსსფ-ს ან სხვა ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი“ იმ ავტომობილისთვის, რომლითაც მონაწილეობს შეჯიბრებაში. ასევე, ყველა მონაწილემ, რომლებიც მონაწილეობენ ამავე რეგლამენტის 4.2 პუნქტის მიხედვით, ჯგუფ N-ში და ჯგუფ A-ში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ავტომობილის ჰომოლოგაციის ბარათი. სპორტული ავტომობილის წონა (რომლებიც მოცემულია ტექნიკურ მოთხოვნებში) არ უნდა იყოს დასაშვებ მინიმუმზე ნაკლები.

4.2. რბოლისთვის დაშვებული ავტომობილების კლასები და ჯგუფები:

ჯგუფი N	ჰომოლოგირებული სერიული ავტომობილები, მომზადებული N ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად FIA-ს დანართი J, პუნქტი 254-ის და სსსფ-ს ტექნიკური დაშვებების მიხედვით, რომლებიც ასახულია ამ შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებში.
---------	---

<p>ჯგუფი A</p>	<p>ჰომოლოგირებული სერიული ავტომობილები, მომზადებული A ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად FIA-ს დანართი J, პუნქტი 255-ის და სსსფ-ს ტექნიკური დაშვებების მიხედვით, რომლებიც ასახულია ამ შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებში. მათ შორის - WRC-ს ავტომობილები, სუპერ 1600 და ჯგუფები R2, R3, R4 და R5 ავტომობილები, მომზადებული R ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად FIA-ს დანართი J, პუნქტი 260 და 260D-ს მიხედვით და ავტომობილები, მომზადებული R5 ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად FIA-ს დანართი J, პუნქტი 261-ს მიხედვით. ავტომობილები, მომზადებული GT ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად FIA-ს დანართი J, პუნქტი 256-ის მიხედვით. ასევე სპორტული ავტომობილი, რომელიც გამოიყურება როგორც სერიული წარმოების ავტომობილი, არის მინიმუმ 2 ადგილიანი აქვთ სერიული ავტომობილის ფორმის საქარე მინა. ძრავის მოცულობა უნდა იყოს 6500 სმ³ ან ნაკლები და რომლებიც განსაზღვრულია შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის FIA-ს დანართი J, პუნქტი 251, 259 და 277-ის მიხედვით.</p>
<p>ჯგუფი SC (სუპერქარი)</p>	<p>ღია ან დახურული ტიპის 2 ადგილიანი სარბოლო ავტომობილები და/ან სპორტული ავტომობილი, რომელიც გამოიყურება როგორც სერიული წარმოების ავტომობილი, არის მინიმუმ 2 ადგილიანი აქვთ სერიული ავტომობილის ფორმის საქარე მინა (მათ შორის მიჯეტი). რომელთა ძრავის მოცულობა არის 6500 სმ³ ან ნაკლები. თავისუფალი ფორმულას (მათ შორის ლეგენდსი) ტიპის ერთადგილიანი სარბოლო ავტომობილები, რომელთა ძრავის მოცულობა არის 3000 სმ³ ან ნაკლები.</p>

შენიშვნა: შეჯიბრების ორგანიზატორს აქვს უფლება ჯგუფ SC-ში დაუშვას 6500+სმ³ მოცულობის მქონე ძრავიანი ავტომობილები.

შეჯიბრებაზე შესაძლოა დაშვებულ იქნან ვადაგასული ჰომოლოგაციის მქონე ავტომობილები. ასეთი ავტომობილების უსაფრთხოების ყველა კვანძი (სავარძლები, უსაფრთხოების ღვედები, უსაფრთხოების კარკასი და ა.შ.) უნდა იყოს მინიმუმ ყოფილი ჰომოლოგაციის მქონე და აკმაყოფილებდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს. უსაფრთხოების კარკასი კი უნდა შეესაბამებოდეს 2018 წლის FIA-ს დანართი J, პუნქტი 253.8-ის მინიმალურ მოთხოვნებს.

სარბოლო ავტომობილის წონა უნდა შეესაბამებოდეს სსსფ-ს ტექნიკური მოთხოვნებს 3.1.1. და 3.1.2. პუნქტებს.

4.3. ჯგუფების კლასიფიკაცია ძრავის მოცულობის მიხედვით

კლასიფიკაცია ჯგუფში	ძრავის მოცულობა
1600	1600 სმ ³ -მდე
2000	1600-დან 2000 სმ ³ -მდე
3000	2000-დან 3000 სმ ³ -მდე
3000+	3000 სმ ³ და ზევით

4.4. 2018 წლის შეჯიბრება Sprint Racing-ში, ტარდება 4.2. პუნქტის შესაბამის ჯგუფებში ძრავის მუშა მოცულობით გათვალისწინებულ 1600, 2000, 3000 და 3000+ კლასებში (გარდა ჯგუფი SC).

მუხლი 5. სარბოლო მონაკვეთი, სერვისის და საწვავ გასამართი ზონა

- 5.1. შეჯიბრების ჩატარების სარბოლო მონაკვეთი უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.
- 5.2. შეჯიბრების მზადებისას სსსფ-ს სატრეკო კომისიის მიერ ხდება რბოლის ტერიტორიის შესწავლა, უსაფრთხოების ნორმების შემუშავება, კავშირგაბმულობის კვანძების დამუშავება და ყოველივე ამაზე დაყრდნობით დგება სარბოლო მონაკვეთის პასპორტი რომელსაც ამტკიცებს სსსფ-ს სატრეკო კომისია.
- 5.3. სარბოლო ავტომობილების საწვავით გამართვა შესაძლებელია, ორგანიზატორის მიერ გამოყოფილ და მონიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება ორი 5 კილოგრამიანი ცეცხლმაქრით და დაშორებული იქნება სერვისის ზონიდან მინიმუმ 30 მეტრით. სერვისის ზონაში აკრძალულია ავტომობილების საწვავით შევსება და აღნიშნული ქმედება დაექვემდებარება ორგანიზატორის მიერ დაწესებულ სანქციებს. ასევე შესაძლებელია ავტომობილის საწვავით გამართვა ორგანიზატორის მიერ, შეჯიბრების დამატებით რეგლამენტში (დებულება) მითითებულ საერთო სარგებლობის ავტოგასამართ სადგურებზე.

მუხლი 6. შეჯიბრების უსაფრთხოება

- 6.1. შეჯიბრების დაწყების წინ, რბოლის ხელმძღვანელი უსაფრთხოების კომისართან ერთად ამოწმებს ტრასის მზადყოფნას და მის შესაბამისობას ტრასის პასპორტთან.
- 6.2. რბოლის დაწყებამდე უსაფრთხოების და ტრასის კომისარი ამზადებს სარბოლო მონაკვეთს (ტრასას) და რბოლის დასრულებამდე პასუხისმგებელი არიან რბოლის უსაფრთხოებაზე.
- 6.3. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას იღებს შეჯიბრების ორგანიზატორი, შეჯიბრების ხელმძღვანელი და უსაფრთხოების კომისარი, რომლებიც ვალდებული არიან შეაჩეროს რბოლა თუ არსებობს მყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.
- 6.4. შეჯიბრების ორგანიზატორი ვალდებულია, რომ სარბოლო ინციდენტის დროს გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული საშუალება, სარბოლო ეკიპაჟის ან ინციდენტში მონაწილე პირების გადასარჩენად. ორგანიზატორი პასუხისმგებლობას იხსნის, ინციდენტის გამო წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებაზე.
- 6.5. მრბოლელების ეკიპირება უნდა შეესაბამებოდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს და ტექნიკური კომისიის განკარგულებებს. საკითხის თანხვედრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლო რედაქციით შექმნილ დოკუმენტს.
- 6.6. დაჟინებით რეკომენდირებულია სპორტული ავტომობილის აღჭურვა ცენტრალიზებული მართვის ცეცხლმაქრის სისტემით.
- 6.7. ყველა მონაწილე აღჭურვილი უნდა იყოს კისრის დამცავი საშუალებით (HANS). პერსონალის ეკიპირების რეკომენდაციები მოცემულია წესებში.

მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. შეჯიბრებაზე სსსფ ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:

- შეჯიბრების მთავარ კომისარს – სპორტულ კომისარს სსსფ–ს უფლებებით;
- შეჯიბრების მთავარ ტექნიკურ კომისარს და ტექნიკური კომისიის დელეგატებს (ტექნიკური კონტროლიორები);
- სსსფ–ს დამკვირვებელს.
- შეჯიბრების ტრასის კომისარს (ეზს).

7.2. მთავარი ტექნიკური კომისარი, რომელიც დანიშნულია სსსფ–ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს ტექნიკურ დელეგატებს (ტექნიკური კონტროლიორები), სარემონტო, გასამართი და დახურული პარკის კომისარებს.

7.3. რბოლაზე სსსფ–ს არასატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- რბოლების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
- შეჯიბრების მდივანი;

მუხლი 8. მონაწილეობის პირობები, მოთხოვნები მონაწილეების და მრბოლელების მიმართ

8.1. ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები:

მრბოლელი: სსსფ–ს მიერ გაცემული ეროვნული E, F, ან საერთაშორისო A, B, C, D, R კატეგორიის ლიცენზიის მფლობელი.

შტურმანი: სსსფ–ს მიერ გაცემული ეროვნული M, E, F, EC ან საერთაშორისო A, B, C, D, R კატეგორიის ლიცენზიის მფლობელი.

8.2. შეჯიბრებაში რეგისტრაციის გასაწველად, ყველა მრბოლელს უნდა გააჩნდეს სსსფ–ს მიერ გაცემული მონაწილის (Competitor) ლიცენზია ან უნდა ჰყავდეს ამ ლიცენზიის მფლობელი პირი. მონაწილის ლიცენზიის მფლობელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამ ლიცენზიის მფლობელი იღებს პასუხისმგებლობას შემდეგი პირების ქმედებებზე: მის მიერ წარმოდგენილ მრბოლელებზე, წარმომადგენლებზე და მექანიკოსებზე, ასევე ყველა იმ პირზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განაცხადში მრბოლელის შეჯიბრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

8.3. ლიცენზიის მფლობელები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- მრბოლელის ლიცენზიის ვადა აქტიური უნდა იყოს შეჯიბრების ჩატარების მომენტში.
- მრბოლელმა უნდა წარმოადგინოს „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი“ (ასეთის არსებულის შემთხვევაში), სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, იმ ავტომობილის ჰომოლოგაციის ბარათი ან სსსფ–ს ტექნიკური მოთხოვნები, რომლითაც მონაწილეობს რბოლაში, განაცხადი რბოლაში მონაწილეობაზე და მრბოლელის ლიცენზია.
- მრბოლელები დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ავტომობილი და გაჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი).

- ეს საბუთები გაცემული უნდა იყოს სსსფ-ს ან სსფ-ს წევრი სხვა ქვეყნის ეროვნული სტატუსის მქონე ფედერაციის მიერ და ძალაში უნდა იყოს რბოლის გამართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი უნდა წარედგინოს ორგანიზატორს იმ ფორმით, რომელიც მოცემულია რეგლამენტის მიხედვით.
- განაცხადის წარუდგენლობის შემთხვევაში მრბოლელი შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

8.4. განაცხადი მონაწილეობაზე უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე და ფედერაციის მიერ დამტკიცებული ფორმით. მასში მითითებული უნდა იყოს ეკიპაჟის შემადგენლობა და ყველა ის პირი რომელიც შესაძლებელია თან ახლდეს ეკიპაჟს დახურულ პარკში.

8.5. შეჯიბრებაში მონაწილეობის გადასახადი, რომელიც მითითებული იქნება ორგანიზატორის მიერ გამოცემულ შეჯიბრების დებულებაში, გადახდილ უნდა იქნას რეგისტრაციის პერიოდის დასრულებამდე.

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები

9.1. შეჯიბრებაში დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან 2018 წლის სარბოლო სეზონისთვის მიღებულ ტექნიკურ მოთხოვნებს და მის დამატებებს Sprint Racing-ში.

9.2. შეჯიბრებაში მონაწილე ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს სსსფ-ს მიერ გაცემული „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი“.

9.3. შეჯიბრების ტექნიკური შემოწმების გავლის დროს, აღნიშნული პასპორტი გადაეცემა შეჯიბრების ტექნიკურ კომისარს და შეჯიბრების დასრულების შემდეგ, მონაწილეს უბრუნდება ტექ კომისარის მიერ გაკეთებული ჩანაწერით. ავტომობილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, რაც შეიძლება გახადოს რბოლიდან გამოსვლის მიზეზი, ან ავტომობილის იმგვარად დაზიანების შემთხვევაში თუ მან შეძლო რბოლის დასრულება, ავტომობილი უნდა წარედგინოს ტექნიკურ კომისარს ან ტექნიკურ შემოწმებელს, რის შემდეგაც „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტში“ გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9.4. ტექნიკური ინსპექცია წარმოებს „Sprint Racing“-ის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

9.5. შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.

9.6. ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლება ტექნიკური კომისიის გავლის დროს.

9.7. შეჯიბრებაში ჩათვლას იღებენ ისეთი ავტომობილები, როგორებიც განსაზღვრულია ამავე რეგლამენტის პუნქტი 4.2-ში.

9.8. შეჯიბრების კომისარებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეამოწმონ ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს შეჯიბრების კომისარების მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მრბოლელი ან მისი მონაწილე ვალდებულნი არიან საკუთარი ძალებით მოახდინონ კომისარების მიერ მოთხოვნილი

დეტალების დემონტაჟი. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელი დისკვალიფიცირებული იქნება აღნიშნული შეჯიბრებიდან და მისი საკითხი განსახილველად გადაეცემა სსსფ-ს.

9.9. დროის კონტროლის და სტარტის ზონებში ავტომობილის საბურავების ნებისმიერი სახით გათბობა/გახურება აკრძალულია და აღნიშნული ქმედება დასჯილი იქნება სანქციებით, რომელიც მითითებული იქნება კონკრეტული რბოლის რეგლამენტში ან სანქციით, რომელსაც დაადგენს (ენ) შეჯიბრების კომისარი (ები).

9.10. შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილზე უნდა გამოიყენებოდეს ის საბურავები, რომლებიც მითითებულია შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებში.

მუხლი 10. შეჯიბრების წესები.

10.1. ოფიციალური შეჯიბრება ტარდება პირად და გუნდურ ჩათვლაში, პუნქტი 4.2. შესაბამისად.

10.2. ოფიციალური შეჯიბრება ჩაითვლება შემდგარად, იმ შემთხვევაში თუ გაიარა რეგისტრაცია, ტექ კომისია და სტარტი აიღო მინიმუმ 8 სარბოლო ავტომობილმა.

10.3. კლასი შექმნილად და მოქმედად ითვლება თუ მასში რეგისტრირებულია, ტექნიკური კომისია გავლილი აქვს და რბოლის სტარტი აიღო მინიმუმ 3 (სამი) ავტომობილმა.

10.4. შეჯიბრება შედგება მინიმუმ 4 (ოთხი) სარბოლო სპეც მონაკვეთისგან, ორგანიზატორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სპეც მონაკვეთების რაოდენობის შეცვლა, რომელიც მითითებული იქნება შეჯიბრების დებულებაში.

10.5. შეჯიბრებაში ჩათვლის მისაღებად მრბოლელმა უნდა გაიაროს დებულებით განსაზღვრული ყველა სპეც მონაკვეთი.

10.6. სტარტზე დაგვიანება ისჯება საჯარიმო დროის დარიცხვით, სპეც მონაკვეთების გავლის ჯამურ დროზე. დაგვიანების შემთხვევაში საჯარიმო 10 წამი. სტარტზე დაგვიანებად ითვლება, სტარტის წინა ან „რეგრუპინგის“ შემდეგ დადგენილი რიგითობის დარღვევა.

10.7. სასტარტო რიგითობა დგინდება, კლასების სიძლიერის მიხედვით, კლუბადობის პრინციპით (SC, A3000+, N3000+, A2000 და ა.შ.). ხოლო კლასში რიგითობას განსაზღვრავს შეჯიბრების ხელმძღვანელი.

10.8. შეჯიბრება მოიცავს სარბოლო მონაკვეთის გაცნობით გავლებს, რომლის დრო და პერიოდები მითითებული იქნება ორგანიზატორის მიერ გამოცემულ შეჯიბრების დებულებაში და შეჯიბრების განრიგში. სავარჯიშო, იგივე ტრასის გაცნობის მიზნით, გავლა აკრძალულია იმ ავტომობილით, რომელიც მონაწილეობს რბოლაში. აკრძალულია ტრასის გაცნობითი გავლები სპორტული რეჟიმით. გავლის მაქსიმალური სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 60 კმ/სთ-ს.

10.9. დროის კონტროლის პუნქტის გავლის დროს, ყველა მონაწილე ეკიპაჟს მიეცემა სასტარტო დრო ამ რიგითობა.

- 10.10.**წინასწარ განსაზღვრულ სასტარტო დროზე ადრე სტარტის აღება ითვლება „ფალს-სტარტად“ და ყოველ სრულ წამზე, ეკიპაჟს დაერიცხება 10 წამიანი ჯარიმა.
- 10.11.**ყველა მონაწილე ეკიპაჟი სტარტს იღებს 1 წუთიანი ინტერვალით.
- 10.12.**დროის ათვლა ხდება ელექტრონული ქრონომეტრაჟის სისტემებით, 0.01 წამის სიზუსტით.
- 10.13.**სტარტის მიცემა ხდება შუქნიშნით, რომელიც სინქრონიზებული არის დროის ათვლის ელექტრონულ სისტემასთან. სტარტამდე 5 წამით ადრე შუქნიშანი იძლევა მზადყოფნის წითელ სიგნალს, ხოლო სტარტი ნებადართულია მწვანე სიგნალის მიცემის მომენტიდან 20 წამის განმავლობაში. ეკიპაჟი რომელიც დროის ამ მონაკვეთში ვერ აიღებს სტარტს, ის გაყვანილი უნდა იქნას სასტარტო ზონიდან, ხოლო გადაწყვეტილებას მისი მონაწილეობის გაგრძელების შესახებ „სუპერ-რალის“ პრინციპით, იღებს შეჯიბრების კომისარი, ეკიპაჟის განცხადების საფუძველზე.
- 10.14.**შეჯიბრებაში მონაწილე ეკიპაჟის მიერ სპეც მონაკვეთის(ების) გამოტოვების (ტექნიკური გაუმართაობის გამო) შემთხვევაში, მას მიეცემა რბოლის გაგრძელების უფლება „სუპერ-რალის“ პრინციპით, რომელიც მოიცავს შესაბამის კლასში კონკრეტული სპეც მონაკვეთის(ების) გავლის საუკეთესო დროს დამატებული 2 წუთი. ამ შემთხვევაში ეკიპაჟს რბოლის გაგრძელების უფლება აქვს შეჯიბრების მეორე ნახევარში (სერვისის პერიოდის შემდეგ).
- 10.15.**ეკიპაჟის მიერ სტარტის აღების და სპეც მონაკვეთზე ტექნიკური გაუმართაობის გამო გაჩერების შემთხვევაში, მას უფლება აქვს დაზიანება აღმოფხვრას ადგილზე საკუთარი ძალებით (გარე დახმარება აკრძალულია, თუნდაც ეს პირები იყვნენ მოხსენიებულნი ეკიპაჟის განაცხადში) და იმ ინსტრუმენტებით და ნაწილებით, რომელიც აქვთ ავტომობილში. დაზიანების აღმოფხვრა ეკიპაჟმა უნდა შეძლოს სპეც მონაკვეთის გამხსნელი ავტომობილის გავლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აღნიშნული სპეც მონაკვეთი ჩათვლება გამოტოვებულად და შეკეთება უნდა მოხდეს სერვისის ზონაში. აღნიშნულ შემთხვევაში ეკიპაჟს რბოლის გაგრძელების საშუალება ეძლევა „სუპერ-რალის“ პრინციპით, შეჯიბრების რეგლამენტით განსაზღვრული სარვისის პერიოდის შემდეგ.
- 10.16.**„სუპერ-რალის“ პრინციპით რბოლის გაგრძელების შემთხვევაში, ეკიპაჟმა უნდა მიიღოს თანხმობა შეჯიბრების ტექნიკური კომისრისგან.
- 10.17.**იმ შემთხვევაში, თუ ეკიპაჟი მონაწილეობას იღებს ისეთ ჩათვლით ჯგუფში, რომელიც არ ითვლება შემდგარად ან მის კლასში არ არსებობს სხვა მონაწილე, სუპერ რალის პრინციპით რბოლის გაგრძელების შემთხვევაში პენალიზაციის დროს განსაზღვრავს რბოლის კომისარი.
- 10.18.**ტექნიკური რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება შეჯიბრების შედეგი.
- 10.19.**ტექნიკური რეგულაციის დარღვევის, რომელიც აღმოჩნდება დალუქული აგრეგატის შემოწმებისას, დალუქული აგრეგატიდან ლუქის თვითნებურად მოხსნის ან დაზიანების შემთხვევაში, მრბოლელს უუქმდება მიღწეული შედეგი.
- 10.20.** იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო აწონვისას (შეჯიბრების დასრულებისას, სპეც მონაკვეთის დასრულებისას, შესვენების დროს და ა.შ.). მრბოლელს დაუფიქსირდა ავტომობილის წონის ნაკლებობა, იხსნება შეჯიბრიდან და უუქმდება შეჯიბრის შედეგი.

- 10.21.იმ შემთხვევაში, თუ საწვავის საკონტროლო ანალიზის დროს (შეჯიბრების დასრულებისას, სპეც მონაკვეთის დასრულებისას, შესვენების დროს და ა.შ.). მრბოლელს დაუფიქსირდა ავტომობილის საწვავის რეგულაციის დარღვევა, იხსნება შეჯიბრებიდან და უუქმდება შედეგი.
- 10.22.იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ინციდენტის გამო აკლია რაიმე დეტალი, სერვისის პერიოდში უნდა აღმოიფხვრას დაზიანება. ეკიპაჟი თუ ვერ აღადგენს ავტომობილის პირვანდელ სახეს კომპლექტაციის (ავტომობილს არ უნდა აკლდეს ძარის გარე ნაწილები) თვალსაზრისით, მრბოლელის მიერ რბოლის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს შეჯიბრების კომისარი.
- 10.23. იმ შემთხვევაში, თუ რბოლის დროს დაფიქსირდა მრბოლელის მიერ ავტომობილის წონის შეგნებულად შემცირება, იხსნება შეჯიბრებიდან და უუქმდება შედეგი.
- 10.24. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი.

მუხლი 11. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამა

- 11.1. მრბოლელებისთვის სასტარტო ნომრების მინიჭება ხდება შეჯიბრების დებულების შესაბამისად.
- 11.2. სარბოლო ავტომობილზე აუცილებელ წარწერებად გვევლინება შემდეგი:
- ემბლემები და წარწერები, რომლებიც დამაგრებული უნდა იქნენ ავტომობილზე რეგლამენტის შესაბამისად.
 - სარბოლო ავტომობილზე მონაწილის სასტარტო (საბორტო) ნომერი, განთავსებული ჰორიზონტალურად, ორივე წინა კარების ზედა ნაწილში, შუშის ქვედა ნაწილიდან 7–10 სანტიმეტრის დაშორებით და უნდა იყოს შემდეგი ფორმისა და ზომის: სიგრძე – 67 სმ, სიგანე 17 სმ, 1 სმ–იანი თეთრი ზოლის ჩათვლით. მისი წინა ნაწილი – კვადრატის ფორმის, ზომით 15x15 სმ, რომელზეც დატანილი იქნება სასტარტო ნომერი. ციფრები – ნათელი ყვითელი ფერის (PMS 803), ციფრის სიმაღლე – 14 სმ, ციფრების ხაზის სიგანე – 2 სმ, ციფრები დატანილი უნდა იყოს შავ, არამრეკლ ფონზე. თუ სასტარტო ნომერი შედგება სამი ციფრისგან, მაშინ კვადრატის სიგანე შესაძლებელია შეიცვალოს. სანომრე პანელის ირგვლივ სივრცე 10 სანტიმეტრის დაშორებით, უნდა იყოს თავისუფალი. უკანა საქარე მინაზე უნდა იყოს დატანილი იგივე ფერისა და ზომის ციფრები (სასტარტო ნომერი).
 - ავტომობილის უკანა საქარე მინის ზედა მარჯვება კუთხეში უნდა განთავსდეს ღია ფორთოხლისფერი (PMS 804) სასტარტო ნომერი ზომით, 14 სმ. ანალოგიური ზომის, ფორმის და ფერის ნომერი სასურველია განთავსებული იყოს წინა საქარე მინის ზედა კუთხეში, პილოტის მოპირდაპირე მხარეს. თუ რბოლა ტარდება ღამის საათებში, ეს წარწერა უნდა იყოს შუქამრეკლი.
 - ავტომობილის უკანა გვერდით შუშებზე (ორივე მხარეს) უნდა განთავსდეს ღია ფორთოხლისფერი (PMS 804), 20 სმ. სიმაღლის და 2,5 სმ სისქის სასტარტო ნომრები. თუ რბოლა ტარდება ღამის საათებში, ეს წარწერა უნდა იყოს შუქამრეკლი. ნომრები განთავსებული უნდა იყოს შუშის ზედა ნაწილში ისე, რომ მონაწილის სახელს და გვარს არ ფარავდეს.

- სარბოლო ავტომობილის კაპოტზე, დატანილი უნდა იქნას აბრა, რომელიც შეიცავს სასტარტო ნომერს და რბოლის დასახელებას. აბრა უნდა იყოს მართკუთხედი სიგრძით 43 სმ და სიმაღლით 21.5 სმ.
- მრბოლელის (ან ეკიპაჟის) გვარი (ები) და სახელმწიფო დროშის გამოსახულება უნდა განთავსდნენ უკანა გვერდით შუშებზე (ორივე მხარეს). ასობის ზომებია, სიმაღლე – 60 მმ, ასოს ხაზის სიგანე 10 მმ. წარწერის შრიფტი – Helvetica.
- ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს მონაწილე ყველა სავალდებულო აბრის კომპლექტით. მონაწილე თავის მხრივ ვალდებულია შეჯიბრების პერიოდში დატანილი ჰქონდეს ავტომობილზე ყველა სავალდებულო აბრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ ამოქმედდება ფინანსური ჯარიმა.


11.3. სავალდებულო წარწერები ავტომობილზე უნდა იყოს განთავსებული ტექნიკურ შემოწმებამდე და შენარჩუნებულ შეჯიბრების დამთავრებამდე. სავალდებულო წარწერების შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, სტარტის წინა ზონაში. სავალდებულო წარწერების არ ქონის შემთხვევაში, ავტომობილი შეჯიბრებაზე არ დაიშვება. თუ შეჯიბრების განმავლობაში გაირკვა, რომ ავტომობილს აკლია თუნდაც ერთი სავალდებულო წარწერა, მრბოლელი შეიძლება დაჯარიმდეს რეგლამენტის შესაბამისად.

11.4. მონაწილეებს აქვთ უფლება განათავსონ თავიანთ სარბოლო ავტომობილებზე ნებისმიერი სახის რეკლამა, თუ ის:

- არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- არ ფარავს ხედს მძღოლის ადგილიდან.
- არ ეწინააღმდეგება მორალისა და ეთიკის ნორმებს.
- მისი შინაარსით არ არის პოლიტიკური ან რელიგიური.
- არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.
- არ იკავებს სავალდებულო წარწერებისა და სასტარტო ნომრის ადგილებს.
- არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების რეგლამენტს.

11.5. მონაწილის მიერ ნებისმიერი სარეკლამო კამპანია, სარეკლამო ვაჭრობის ან პრომო აქციის წარმოება სარბოლო მონაკვეთზე და პარკირების ზონებში, ხორციელდება შეჯიბრების ორგანიზატორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

11.6. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების დამატებითი პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით.



1. აბრა სასტარტო ნომრით და რბოლის დასახელებით.
2. გვერდითი და უკანა სასტარტო ნომრები.
3. ეკიპაჟის (პილოტი და კოპილოტი) სახელი, გვარი და ქვეყნის დროშა.
4. შეჯიბრების დასახელება და სავალდებულო რეკლამა.
5. სავალდებულო რეკლამის ადგილი.
6. არასავალდებულო რეკლამის ადგილი.

მუხლი 12. შედეგების განსაზღვრა და დაჯილდოება

- 12.1. შეჯიბრებაში გამარჯვებული ვლინდება გარბენების და საჯარიმო დროების ჯამის მიხედვით;
- 12.2. თუ ორ ან მეტ მრბოლელს, შეჯიბრების ბოლოს იდენტური გარბენის დრო დაუფიქსირდათ, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:
 - მეტი საუკეთესო პოზიცია, სპეც მონაკვეთზე;
 - ნაკლები საჯარიმო დრო;
 - თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა საუკეთესოთა ვინაობა, ორგანიზატორი ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად.
- 12.3. რბოლის დროს დაკავებული ადგილის მიხედვით ქულა ენიჭება ეკიპაჟს და გუნდს.
- 12.4. შეჯიბრებაში შედეგი ფიქსირდება:
 - ჯგუფში ძრავის მოცულობის მიხედვით (კლასებში);
 - აბსოლუტურ ჩათვლაში;
- 12.5. შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს ორგანიზატორი და ქვეყნდება სსსფ-ს ვებ გვერდზე www.gasf.co დანაყოფში „შედეგები“.

12.6. ჩემპიონატის შემადგენელი ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება პირად და გუნდურ ჩათვლებში, მუხლი 4.1. შესაბამისად.

12.7. გუნდური ჩათვლა იანგარიშება მხოლოდ თითოეულ ჯგუფში.

12.8. ჩემპიონის გამოსავლენად, თითოეული ეტაპის გამარჯვებულს ჩათვლით ჯგუფში ერიცხებათ ქულები ოფიციალური შეჯიბრების შედეგების სასარგებლოდ, მათ მიერ რბოლის პროტოკოლით მოცემული დაკავებული ადგილების შესაბამისად:

დაკავებული ადგილი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ჯამური ქულები	25	18	15	12	10	8	6	4	2	1

12.9. ჩემპიონატი ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტრის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრებების მინიმუმ 70%.

12.10. ჩემპიონატში გამარჯვებული ვლინდება ჩემპიონატის ეტაპებზე დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით პირად და გუნდურ ჩათვლაში;

12.11. თუ ორ ან მეტ მრბოლელს, ჩემპიონატის საბოლოო ჩათვლაში, იდენტური ქულები დაურგოვდათ, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

a) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დაკავებული ადგილების ხარისხის მიხედვით:

- მეტი პირველი ადგილი;
- მეტი მეორე ადგილი;
- მეტი მესამე ადგილი;

დაკავებული იმ ეტაპებზე, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო ჯამი შეადგინა;

b) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დამარცხებული მეტოქეების რაოდენობის მიხედვით, იმ ტურნირებში, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო მარაგი შეადგინა.

c) თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა საუკეთესოთა ვინაობა, სსსფ ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად.

12.12. მრბოლელები და გუნდები, რომლებმაც დაიკავეს პირველი 3 (სამი) საპრიზო ადგილი დასახელებულ იქნებიან:

- 1 ადგილი - Sprint Racing-ში საქართველოს ჩემპიონი ჯგუფში/ჩათვლაში;
- 2 ადგილი - Sprint Racing-ში საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მე-2 ადგილოსანი ჯგუფში/ჩათვლაში;
- 3 ადგილი - Sprint Racing-ში საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მე-3 ადგილოსანი ჯგუფში/ჩათვლაში;

12.13. ორგანიზატორის მიერ დაწესებული პრიზი (მედალი, თასი, დიპლომი, ფულადი პრიზი, პრიზი და ა.შ.) გადაეცემა როგორც პილოტს, ასევე ეკიპაჟის სხვა წევრს (შტურმანის, კოპილოტის, ნავიგატორის და ა.შ.) ასეთის არსებობის მიუხედავად.

12.14. პილოტის დამხმარე პირს (შტურმანი, კოპილოტი, ნავიგატორი და ა.შ.) წლიურ ჩათვლაში ეწერება ქულები შტურმანების ჩათვლაში იგივე ოდენობით როგორც მის პილოტს კონკრეტული რბოლის შემდგომ აბსოლუტურ ჩათვლაში.

მუხლი 13. პროტესტი, აპელაცია

13.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ-ს სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ღონისძიების რეგლამენტით.

13.2. თუ პროტესტი ითვალისწინებს რამოდენიმე მოცემულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა გაცხადდეს თითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ ცალ-ცალკე, ხოლო ფულადი შესატანის თანხა მრავლდება პროტესტს ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტის განხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი დაშლა, პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ შეიძლება შეტანილი იქნას ავტომობილზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრი, რომელის შემოწმებაც განიხილება.

13.3. მონაწილე რომლის მიმართაც არის შემოსული პროტესტი, ვალდებულია წარმოადგინოს საჭირო რაოდენობის პერსონალი და ინვენტარი, რომელიც საჭიროა აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად (დემონტაჟი და აწყობა).

13.4. მრბოლელის ან მონაწილის მხრიდან არაკორექტული საქციელის შემთხვევაში მას დაეკისრება სასჯელი თანახმად საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის კოდექსის თავი 11-სა.

13.5. იმ შემთხვევაში თუ პროტესტი შემოტანილ იქნება, რომელიმე მრბოლელის მხრიდან ტექნიკურ დარღვევასთან დაკავშირებით, პროცედურა წარიმართება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის კოდექსის თავი 12-სა.

13.6. იმ შემთხვევაში, როდესაც მაპროტესტებელი პირი არ ეთანხმება სპორტული კომისარების კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ-ში. სსსფ-ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ-ს კოდექსი.

მუხლი 14. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია.

14.1. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მათი წარმომადგენლების ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე აკრედიტირება ხორციელდება სსსფ-ს მიერ ან აღნიშნულს ავალებს ღონისძიების ორგანიზატორებს.

14.2. შეჯიბრების ოფიციალური ინფორმაცია წარედგინება მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს.